ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-80

2010 წლის 17 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ბუნებრივი აირის მიწისზედა დაბალი და მიწისქვეშა საშუალო წნევის გამანაწილებელი ქსელის (ხაზობრივი ნაგებობების) მშენებლობაზე შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №-57 დადგენილების მე-13 მუხლის მე- 2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზს“ თანდართული სქემების მიხედვით ქალაქ ქობულეთში: ფიჭვნარის დასახლება, ჯავახიშვილის ქუჩის I და II შესახვევები, რუსთაველის ქუჩის №-3-დან №-45-მდე, თავისუფლების ქუჩის, რუსთაველის ქუჩის ჩიხის, საავადმყოფოს უბნის, გელაურის დასახლების და სოფელ ციხისძირის ტერიტორიებზე აწარმოოს ბუნებრივი აირის მიწისზედა დაბალი და მიწისქვეშა საშუალო წნევის გამანაწილებელი ქსელების (ხაზობრივი ნაგებობების) მშენებლობა – თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**